პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №18

ქ. თბილისი 22.12.2016

სხდომას ესწრებოდნენ:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

ქეთევან ჯაყელი - სსიპ - ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;
მაია ჩიხლაძე - ა(ა)იპ - საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი, შპს ,,საზოგადოებრივი კოლეჯ პანაცეას" დირექტორის მოადგილე; სხდომის მდივანი;
ნიკოლოზ ჩაჩხიანი - პროფესიული განათლების ექსპერტი, Chemonics International.
ელგუჯა მელაძე - ა(ა)იპ - საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის პრეზიდენტი;
მამია ჯანჯალია - სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსის მოადგილე;

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ლევან მადათოვი - შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს უფროსი;
კახაბერ ერაძე - პროფესიულ კვალიფიკაციათა განვითარების ხელშეწყობის პროგრამის მენეჯერი;
ნანი დალაქიშვილი - პროფესიულ კვალიფიკაციათა განვითარების ხელშეწყობის პროგრამის კოორდინატორი.

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

თამარ აბულაშვილი - შპს ,,ილია" - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს საგანმანათლებლო დაწესებულების ხარისხის მართვის მენეჯერი;
იოსებ მატიაშვილი - შპს ,,ილია" - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს საგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორი;
ნინო ბოკერია - შპს ბარაკონის დირექტორის მოადგილე;
ნინო ხაჩიძე - შპს ბარაკონის ხარისხის სამსახურის უფროსი;
ნათია ნოზაძე - შპს კოლეჯი არსის დირექტორი;
რუსუდან ჩიტალაძე - შპს საზოგადოებრივი კოლეჯი №1 სამედიცინო სასწავლებლის დირექტორის მოადგილე;
ეკა კანდელაკი-ყანჩაველი - შპს საზოგადოებრივი კოლეჯი №1 სამედიცინო სასწავლებლის ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი;
ნადეჟდა მანჯავიძე - სსიპ - ქ. გორის ს. ცინცაძის სახელობის სამუსიკო საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორი;
თამარ სოსანიძე - სსიპ - ქ. გორის ს. ცინცაძის სახელობის სამუსიკო საზოგადოებრივი კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, დირექტორის მოადგილე;
ანზორ სიფრაშვილი - შპს წნორის პროფესიული კოლეჯი ორიონის დირექტორი

ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერტები):
ციური დურული;
ქეთევან ჯანელიძე;
ეკა ლუაშვილი;
დალი კალაძე
ეკატერინე გიგაშვილი;
ელენე გვენცაძე.

საბჭოს სხდომა დაიწყო 15:15 საათზე.

თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნა, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს მდივნის არყოფნის გამო სხდომის მდივნის ფუნქცია განესაზღვრა საბჭოს წევრ მაია ჩიხლაძეს.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:
1. შპს ,,ილია" - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხის განხილვა;
2. შპს ზარაკონისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხის განხილვა;
3. შპს არსისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხის განხილვა;
4. შპს საზოგადოებრივ კოლეჯ თბილისის №1 სამედიცინო სასწავლებლისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა;
5. სსიპ - ქ. გორის ს. ცინცაძის სახელობის სამუსიკო საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
6. შპს წნორის პროფესიულ კოლეჯ ორიონის ავტოირზაციის საკითხის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.

შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი. შესაბამისად, საბჭოს წევრებმა ერთხმად დაამტკიცეს სხდომის დღის წესრიგი.

1. შპს ,,ილია" - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინეს ექსპერტებმა ციური დურულმა და ქეთევან ჯანელიძემ.

ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებას წარმოდგენილი ჰქონდა ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი ბუღალტერ - ტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა. ვიზიტის მიმდინარეობისას ხარვეზები არ იქნა დაფიქსირებული, შესაბამისად პროგრამა აკმაყოფილებდა სტანდარტს. აღსანიშნავი იყო, რომ ცენტრის მიერ ექსპერტებისათვის გადაგზავნილ პროგრამის ვერსიაში, კერძოდ რამოდენიმე მოდულში არ იყო დაზუსტებული ტექნიკური მახასიათებლების ნაწილი მაგ: უცხო ენა, მეწარმეობა და სხვ. თუმცა ვიზიტის პროცესში ადგილზე გადამოწმებული იქნა პროფესიული კოლეჯის მიერ წარმოდგენილი სრულყოფილად ადაპტირებული პროგრამა, დამტკიცებული დაწესებულების დირექტორის ბრძანებით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით დაწესებულებას გაფორმებული ჰქონდა მემორანდუმი შპს ,,გოლდ სერვის ჯგუფთან", ვიზიტის დროს ასევე შედგა გასაუბრება პროგრამის განხორციელებაში ჩართულ მასწავლებლებთან, რამაც აჩვენა, რომ თითოეულ მათგანს კარგად ჰქონდა გააზრებული დაკისრებული მოვალეობა.

ექსპერტის გადმოცემით, საგანმანათლებლო დაწესებულების კუთვნილი ფართი აღჭურვილი იყო საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისათვის საჭირო ინვენტარით, მოდულური საგანმანათლებლო პროგრამის „ბუღალტერ-ტექნიკოსის" განხორციელებისათვის დაწესებულებას მოწყობილი ჰქონდა A და B გარემო, რომელიც აღჭურვილი იყო პროგრამის მოდულების მინიმალური ტექნიკური აღჭურვილობის ნორმატივის შესაბამისად. დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამებოდა დაკავებულ თანამდებობას, პროგრამის განხორციელებას ემსახურებოდა 14 პროფესიული მასწავლებელი, მათ შორის ბუღალტერ-ტექნიკოსის მესამე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად შერჩეული გახლდათ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ათი პროფესიული მასწავლებელი.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ,,ილია" - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის ბუღალტერ-ტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 25-ე მუხლის მე-4 პუნქტისა და 30[1]-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, შპს ,,ილია" - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ.საგარეჯოს საგანმანათლებლო დაწესებულებას მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა:

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია	კრედიტების რაოდენობა	ადგილების ზღვრული ოდენობა	განხორციელების ადგილი
1	ბუღალტერ-ტექნიკოსი	III	ბუღალტერ-ტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	93	20	ქ.საგარეჯო, ლეონიძის №33ა

2. შპს ბარაკონისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტმა ეკა ლუაშვილმა.

ექსპერტმა განაცხადა, რომ შპს ბარაკონს ავტორიზაციისათვის წარმოდგენილი ჰქონდა დირექტორის 2016 წლის 6 ივნისის №19 ბრძანებით დამტკიცებული ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგის მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა. პროგრამის მოცულობა კრედიტებში შეადგენდა 162 კრედიტს, ხოლო ხანგრძლივობა გახლდათ 29 სასწავლო თვე. დაწესებულებას შემუშავებული ჰქონდა მოდულური საგანმანათლებლო პროგრამებისათვის საწარმოო პრაქტიკის გავლის ინსტრუქცია და პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით გაფორმებული ჰქონდა ხელშეკრულებები შპს მარმალეიდი, შპს ,,ჩვენი ეზო", სკოლა ალბიონთან არსებული ბაგა-ბაღი ,,მომავალი ალბიონელი", 145-ე ბაგა ბაღი და შპს ,,ჩემ ბაღთან".

ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროგრამაში ვიზიტის მიმდინარეობისას გამოიკვეთა რამოდენიმე გარემოება:

საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით:

საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგში პროგრამების ჩამონათვალში იყო ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, თუმცა დაწესებულებას ჯერ არ ჰქონდა მოპოვებული აღნიშნული პროგრამის განხორციელების უფლება, შესაბამისად აღნიშნული პროგრამის კატალოგში შეტანა მიზანშეწონილი იქნებოდა იმ დათქმით, რომ დაწესებულება გეგმავდა ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებას შესაბამისი უფლების მოპოვების შემთხვევაში. ექსპერტთა აღნიშნული რეკომენდაცია გაზიარებულ იქნა დაწესებულების მიერ.

კატალოგში მოცემული იყო აღნიშნული პროგრამის სწავლის შედეგები, რომელიც საგნობრივი პროგრამების შემთხვევაში გამოყენებული ექვსი კრიტერიუმის მიხედვით გახლდათ (ცოდნა და გაცნობიერება, ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი, დასკვნის გაკეთების უნარი, კომუნიკაციის უნარი, სწავლის უნარი, ღირებულებები) განსაზღვრული, დაწესებულებას განემარტა, რომ აღნიშნული მოდულური პროგრამის ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრული იყო სწავლის შედეგები, შესაბამისად მიზანშეწონილი იქნებოდა სწორად აღნიშნული ფორმით და შინაარსით ყოფილიყო ფორმულირებული. აღნიშნული რეკომენდაცია გაზიარებულ იქნა დაწესებულების მიერ.

მოცემულ კატალოგში არსებული ინფორმაცია პროფესიული სტუდენტის შეფასების შესახებ არ იყო რელევანტური მოდულური პროგრამებისათვის.

დაწესებულების წარმომადგენელთა ინტერვიურებით დადგენილ იქნა, რომ მოდულურ პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება დაწესებულებას შინაგანაწესით ჰქონდა განსაზღვრული, შესაბამისად მიეცა რეკომენდაცია, რომ კატალოგშიც ყოფილიყო აღნიშნული ინფორმაცია მოცემული. რა შეეხებოდა საგნობრივ პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტის შეფასების სისტემას, რომელიც კატალოგში იყო წარმოდგენილი სრულ შესაბამისობაში არ იყო განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის 121/ნ ბრძანებასთან ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ". ვიზიტის დროს აღნიშნული შეფასების სისტემა არ იქნა შეფასებული ვინაიდან აღნიშნული არ ვრცელდებოდა შესაფასებელ პროგრამაზე. თუმცა ექსპერტების მიერ მიეთითათ არსებული შეუსაბამობები, რომლის გამოსწორების მზაობა გამოთქვა დაწესებულებამ.

შინაგანაწესის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძვლებში არ იყო მითითებული პირადი განცხადების საფუძველზე სტატუსის შეჩერების შესაძლებლობა. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის ერთ-ერთ საფუძვლად განსაზღვრული იყო ფინანსური დავალიანება. დაწესებულების წარმომადგენლებს განემარტათ, რომ მიზანშეწონილი იქნებოდა პროფესიულ სტუდენტს ჰქონოდა შესაძლებლობა პირადი განცხადების საფუძველზე შეეჩერებინა სტუდენტის სტატუსი, ხოლო ფინანსური დავალიანების გამო სტატუსის შეწყვეტის ნაცვლად განესაზღვრათ სტატუსის შეჩერება, მით უფრო, რომ სტატუსის შეწყვეტის შემდეგ მისი აღდგენის შესაძლებლობას არ ცნობდა აღნიშნული შინაგანაწესი. ექსპერტთა აღნიშნული და ასევე ტექნიკური ხასიათის რეკომენდაციები გაზიარებულ იქნა დაწესებულების მიერ.

მატერიალურ რესურსთან მიმართებით ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულების მატერიალური რესურსის ფლობის დოკუმენტების გადამოწმებით დადგენილ იქნა, რომ დაწესებულება ფლობდა ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგის სავალდებულო და არჩევითი მოდულებით მინიმალური ტექნიკური აღჭურვილობის ნორმატივით გათვალისწინებულ ტექნიკურ აღჭურვილობას, რაც შეეხებოდა მოდულების გათვალისწინებულ მასალებს და ნედლეულს, ნაწილი გახლდათ შეძენილი (მაგ: პირველადი გადაუდებელი დახმარების მოდულისათვის), ხოლო დანარჩენის შეძენა მოხდებოდა ავტორიზაციის შემთხვევაში სტუდენტთა რაოდენობის მიხედვით. ასევე ადამიანურ რესურსთან მიმართებით აღინიშნა, რომ პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება, რომლის ვადა გახლდათ 5 წელი, მოშლის ერთერთ საფუძვლად მითითებული იყო ხელშეკრულების ვადის გასვლა. დაწესებულების წარმომადგენლებს განემარტათ, რომ შრომის კოდექსის თანახმად 5 წლიანი კონტრაქტის შემთხვევაში დასაქმებულთან დადებული ხელშეკრულება ითვლებოდა უვადოდ და შესაბამისად ხელშეკრულების შეწყვეტის წინაპირობა ვერ იქნებოდა ხელშეკრულების ვადის გასვლა, ამასთანავე როდესაც ხელშეკრულება 11 თვით და მეტი ვადით იყო დადებული აუცილებელი იყო მას გაეთვალისწინებინა დასაქმებულისათვის შვებულების მიცემის პროცედურები. აღნიშნულ კონტრაქტში მითითებული იყო, რომ ზეგანაკვეთური სამუშაო ანაზღაურდებოდა კანონმდებლობის შესაბამისად, მაშინ როდესაც თავად შრომის კოდექსი დამსაქმებელს ავალდებულებდა განესაზღვრა კონტრაქტით კანონმდებლობით გათვალისწინებულ რომელ ფორმას აირჩევდა ზეგანაკვეთური ანაზღაურების წესად. დაწესებულების მიერ აღნიშნული გარემოება გათვალისწინებულ იქნა.

ექსპერტმა განაცხადა, რომ რეკომენდაციების უმრავლესობა დაწესებულების მიერ გათვალისწინებული იქნა ვიზიტის მიმდინარეობის პერიოდში.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ბარაკონისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 25-ე მუხლის მე-4 პუნქტისა და 30[1]-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, შპს ბარაკონს მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს შემდეგი პროფესიული პროგრამა:

N	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია	კრედიტების რაოდენობა	ადგილების ზღვრული ოდენობა	განხორციელების ადგილი
1	ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგი	V	ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	162	40	ქ.თბილისი, ბუდაპეშტის 1[ბ] (ფანჯიკიძის 1[ბ])

3. შპს არსისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინეს ექსპერტებმა დალი კალაძემ და ეკატერინე გიგაშვილმა.

ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებას სურვილი ჰქონდა დაემატებინა ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი ექთნის თანაშემწის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა. პროგრამა გახლდათ სათანადო წესით შექმნილი და აკმაყოფილებდა სტანდარტს რაც უზრუნველყოფდა მისაღწევ შედეგზე გასვლას. ვიზიტის პერიოდში გადამოწმებული იქნა საწარმოო პრაქტიკის განხორციელების ობიექტი. მოხდა ინტერვიურება საწარმოო პრაქტიკის განხორციელებაზე პასუხიმგებელ პირთან მთავარ ექიმთან. კოლეჯი განთავსებული იყო ქ. რუსთავში, შარტავას №4 -ში, კოლეჯს ჰქონდა მოდულებით გათვალისწინებული A,B და C გარემო, რომელიც აღჭურვილი იყო შესაბამისი ინვენტარით. პროგრამა უზრუნველყოფილი იყო შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პროფესიული მასწავლებლებით, პროგრამას მოემსახურებოდა 12 მასწავლებელი. დაწესებულებას აღნიშნულ პროგრამაზე განსაზღვრული ჰყავდა 10 სტუდენტის მიღება.

თავმჯდომარე დაინტერესდა რატომ გეგმავდნენ მხოლოდ ათი სტუდენტის მიღებას.

თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დაწესებულებას რეავტორიზაცია უწევდა 2017 წელს, ხოლო აღნიშნული პროგრამის დამატება სურდათ საპილოტე რეჟიმში, შესაბამისად სურდათ მხოლოდ ათი სტუდენტის მიღება მოცემულ ეტაპზე.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს არსისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 25-ე მუხლის მე-4 პუნქტისა და 30[1]-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, შპს არსს მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს შემდეგი პროფესიული პროგრამა:

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია	კრედიტების რაოდენობა	ადგილების ზღვრული ოდენობა	განხორციელების ადგილი
1	ექთნის თანაშემწე	III	ექთნის თანაშემწის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	103	10	ქ.რუსთავი, შარტავას №4

4. შპს საზოგადოებრივ კოლეჯ თბილისის №1 სამედიცინო სასწავლებლისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტმა ელენე გვენცაძემ.

ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებას სურდა განეხორციელებინა პროფესიული საგანმანათლებლო ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი ,,პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა". სასწავლებელს გააჩნდა ძირითადი სასწავლო ფართი ქ. თბილისში, კედიას №7-ში, რომელიც აღჭურვილი იყო საგანმანათლებლო პროცესის სრულფასოვნად წარმართვისათვის შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოდულების განხორციელებისათვის შესაბამისი A,B და C გარემოებით. სასწავლებლის სარგებლობაში იყო ასევე საწარმოო პრაქტიკის განხორციელებისათვის აუცილებელი ინვენტარით აღჭურვილი ფართი, რომელიც გამოიყენებოდა საწარმოო პრაქტიკის მიზნებისათვის შესაბამის ორგანიზაციებთან გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე. სასწავლებელს ასევე ჰქონდა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის ადაპტირებული გარემო,პანდუსები და ლიფტი. ადამიანური რესურსის დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ ადმინისტრაციის თანამშრომლების, მასწავლებლების და პრაქტიკის განმახორციელებელი ორგანიზაციებიდან წარმოდგენილი შესაბამისი პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამებოდა დაკავებულ თანამდებობებს, პროგრამა განხორციელდებოდა შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე 30 მასწავლებლის მიერ, მათთან შრომითი ხელშეკრულებები გაფორმებული გახლდათ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საბჭოს წევრი ელგუჯა მელაძე დაინტერესდა თუ რომელ კლინიკებში განხორციელდებოდა პრაქტიკა.

თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ხელშეკრულებები გაფორმებული ჰქონდათ 8 ობიექტთან, კერძოდ ესენი გახლდათ: შპს წმინდა მიქაელ მთავარანგელოზის სახელობის მრავალპროფილიანი კლინიკური საავადმყოფო; შპს გადაუდებელი ნევროლოგიის კლინიკა ნევროლოგი; შპს აკად. გ. ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიური ცენტრი; ა(ა)იპ - საქველმოქმედო ფონდი საქართველოს კარიტასი; ქ. თბილისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი; აკადემიკოს ვახტანგ ბოჭორიშვილის სახელობის სეფსისის საწინააღმდეგო ეროვნული ცენტრი; ნიუ ვიჟენ საუნივერსიტეტო ჰოსპიტალი და შპს კანისა და ვენსნეულებათა ს/კ ეროვნული ცენტრი.

საბჭოს წევრი ელგუჯა მელაძე დაინტერესდა თუ ისწავლებოდა ცალკე მოდულის სახით უსაფრთხოების ნორმები, ვიანიდან აუცილებელი იყო ინფექციური დაავადებების თავიდან

აცილების მიზნით სტუდენტებს ჰქონოდათ ინფორმაცია როგორ მოეხდინათ უსაფრთხოების ნორმების დაცვით დაავადებების გადადების პრევენცია.

წარმომადგენელმა დაადასტურა რომ პროგრამის ფარგლებში აღნიშნული ინფორმაციის გადაცემა ხდებოდა ცალკე სავალდებულო მოდულის სახით, ხოლო დამატებით ინფორმაციას სტუდენტები იღებდნენ თავად საავადმყოფოებში პრაქტიკის განხორციელების პირობებში.

თავმჯდომარე დაინტერესდა იყო თუ არა მოდულები დაყოფილი ისე, რომ განხორციელებულიყო ვიწრო სპეციალიზაციის კუთხით.

საბჭოს წევრმა მაია ჩიხლაძემ განაცხადა, რომ ვიწრო სპეციალიზაცია გახლდათ ყველა მოდულში, საბოლოო ჯამში თითოეული მოდულის დასრულების შემდეგ სტუდენტმა იცოდა ფაქტიურად ყველაფერი თავისი სპეციალიზაციის ფარგლებში. პროგრამას ასევე ჰქონდა 20 კრედიტიანი სამი არჩევითი მოდული, სადაც ისწავლებოდა სხვადსხვა პროფილის მიმართულებები.

თავმჯდომარემ განაცხადა, რომ აუცილებელი იყო როდესაც ექთანი მუშაობდა მედიცინის ერთ სფეროში მაგ: სამშობიარო სახლში, თუ მას ექნებოდა სურვილი გადასულიყო ონკოლოგიურ დაავადებათა მიმართულებით უნდა გაევლო გადამზადება.

კახაბერ ერაძემ განაცხადა, რომ აღნიშნული საკითხები არ გახლდათ სასწავლებლის გადასაწყვეტი, პროგრამა მტკიცდებოდა ცენტრალიზებულად, შესაბამისად პროგრამა ვერ აცდებოდა იმ მოდულების რომლებიც სავალდებულო სახით იქნებოდა მასში ჩადებული, პროგრამა შედგენილი იყო დამსაქმებლების და დაინტერესებული მხარეების ფართო ჩართულობით. პროგრამაში ჩაღრმავებას იძლეოდა კრედიტების რაოდენობა, საწარმოო პრაქტიკა და პრაქტიკული პროექტი, რა პროფილითაც მოხდებოდა პრაქტიკული პროექტის გაკეთება, შესაბამის გაღრმავებული კომპეტენცია ექნებოდა სტუდენტს. დიპლომის დანართში ასახული გახლდათ ვიწრო სპეციალიზაციის შესახებ მონაცემები. რაც შეეხებოდა გადამზადებას, აღნიშნული დარეგულირებული იქნებოდა პროფესიული განათლების შესახებ ახალი კანონით სადაც ასახული იქნებოდა რეგულირებადი პროფესიების ცნება.

თავმჯდომარე დაინტერესდა თუ რამდენი სტუდენტის მიღებას გეგმავდა დაწესებულება.

ექსპერტის მიერ წარმოდგენილი მონაცემებით მატერიალური რესურსის შესახებ საბჭომ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობა განსაზღვრა 40 სტუდენტით.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საზოგადოებრივ კოლეჯ თბილისის №1 სამედიცინო სასწავლებლისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 25-ე მუხლის მე-4 პუნქტისა და 30[1]-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, შპს კოლეჯ ,,არსს" მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს შემდეგი პროფესიული პროგრამა:

N	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია	კრედიტების რაოდენობა	ადგილების ზღვრული ოდენობა	განხორციელების ადგილი
1	ექთნის თანაშემწე	V	ექთნის თანაშემწის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	179	40	ქ. თბილისი, კედიას №7

5. სსიპ - ქ. გორის ს. ცინცაძის სახელობის სამუსიკო საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტმა ელენე გვენცაძემ.

ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულება ახორციელებდა სამ საგნობრივ საგანმანათლებლო პროგრამას: შემსრულებელ-ილუსტრატორის (კონცერტმაისტერი) მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა; გუნდის ლოტბარი/რეგენტის მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და ვოკალური ანსამბლისა და გუნდის მომღერალის მეხუთე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას. პროგრამები სრულიად შეესაბამებოდა სტანდარტს, ასევე მატერიალური და ადამიანური რესურსიც გახლდათ სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისი. დაწესებულებას წინა ავტორიზაციით განსაზღვრული ჰქონდა 200 სტუდენტის ადგილი, აღნიშნულ პერიოდში ირიცხებოდა 21 სტუდენტი. ჩარიცხვა სასწავლებელში ხდებოდა ორ ტურიანი კონკურსის შედეგად.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქ. გორის ს. ცინცაძის სახელობის სამუსიკო საზოგადოებრივი კოლეჯისათვის ავტორიზაციის მინიჭებისა და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 200-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად სსიპ - ქ. გორის ს. ცინცაძის სახელობის სამუსიკო საზოგადოებრივ კოლეჯს (ს/კ: 218083302) მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (საზოგადოებრივი კოლეჯი) და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 200-ით.

6. შპს წნორის პროფესიული კოლეჯი ,,ორიონის" ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინეს ექსპერტებმა ციური დურულმა და ელენე გვენცაძემ.

ექსპერტმა დააფიქსირა დასკვნაში ასახული ხარვეზები:

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით:

1.1 პროფესიულ კოლეჯს საავტორიზაციო განაცხადით წარმოდგენილი ჰქონდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები: ბუღალტერის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და ექთნის თანაშემწის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა. პროფესიული კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული/განახლებული იყო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები სახელწოდებით: ექთნის თანაშემწის მესამე საფეხურის და ბუღალტერ-მოანგარიშის მესამე საფეხურის პროგრამები. პროგრამების გადამოწმების შედეგად გამოვლენილი იქნა შემდეგი გარემოებები. კერძოდ: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობითი ნაწილი არ მოიცავდა პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემას. ზოგადი ინფორმაცია იყო მოცემული სასწავლო კურსების სილაბურებში. კურსების (გარდა სასწავლო და საწარმოო პრაქტიკისა) შინაარსის ნაწილში იკვეთებოდა, რომ დასკვნითი გამოცდა და განმეორებითი გამოცდა გათვალისწინებული იყო ერთსა და იმავე კვირაში, ადმინისტრაციის განმარტებითაც, შესაძლო იყო დასკვნითი გამოცდა ჩატარებულიყო კვირის დასაწყისში და განმეორებითი გამოცდა კვირის ბოლოს. შესაბამისად აღნიშნული ვადა არ მოიცავდა არანაკლებ 10 დღეს, რაც ეწინააღმდეგებოდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 10 დეკემბრის ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ" ბრძანება №121/ნ-ით განსაზღვრულ პირობებს: 4.პუნქტი 5. ,,პროფესიულ სტუდენტს უფლება ჰქონდა გასულიყო დამატებით გამოცდაზე დასკვნით გამოცდაზე უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში არანაკლებ 10 დღისა". შესაბამისი ჩანაწერი ფიგურირებდა დაწესებულებაში მოქმედ მარეგულირებელ დოკუმენტში - ,,პროფესიული სტუდენტის საგანმანათლებლო დატვირთვა და შეფასების სისტემა", თუმცა აღნიშნული რეგულაციით განსაზღვრული ფორმულირება არ იყო ასახული კურსების სილაბურებში;

დაწესებულების მთავარ დებულებაში იკითხებოდა:-პუნქტი13.11 ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები გათვალისწინებული იყო სტუდენტის მიერ პრაქტიკული უნარ-ჩვევების დაუფლებაზე პროფესიული სასწავლო და საწარმოო პრაქტიკების გავლის მეშვეობით, ისე რომ სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის მოცულობა მთლიანი პროგრამის მიმართ შეადგენდა არანაკლებ 60%-ს, ხოლო ექთნის თანაშემწის მესამე საფეხურის პროფესიულ პროგრამაში პრაქტიკის მოცულობა იყო 40%, ხოლო ბუღალტრის მესამე

საფეხურის პროფესიულ პროგრამაში 47%, შესაბამისად საგანმანათლებლო პროგრამები არ მოდიოდა შესაბამისობაში მარეგულირებელ დოკუმენტებთან;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების პროცედურა რეალურად არ შეესაბამებოდა დაწესებულებაში არსებულ რეგულაციებს. კერძოდ: ,,მთავარი დებულების" პუნქტში 13.7 იკითხებოდა: ,,პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ქმნიდა პროგრამის ხელმძღვანელი", თუმცა არც შემუშავების მომენტში, არც პროგრამის დამტკიცების დროს პროგრამის ხელმძღვანელის შესახებ ინფორმაცია არსად არ ფიგურირებდა. ასევე დირექტორის ბრძ. №003-ით (01.06.2016) დამტკიცებული ,,წნორის პროფესიული კოლეჯის პროფესიული პროგრამების შემუშავების წესით" პროფესიული პროგრამების შემუშავებას ახორციელებდა კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერი, რაც ასევე შეუსაბამობაში მოდიოდა ,,მთავარ დებულებასთან";

კურსზე დაშვების წინაპირობები არ იყო განსაზღვრული არცერთი კურსის სილაბუსით, მათ შორის არც სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის, პროგრამიდან არ იკვეთებოდა საწარმოო პრაქტიკა სასწავლო პროცესის პარალელურად პერმანენტულად მიმდინარეობდა თუ გარკვეული თეორიული კურსის დასრულების შემდეგ. შესაბამისად პროგრამის თანმიმდევრულობა ვერ იქნა დადგენილი;

სხვადასხვა კურსების სილაბურებში მოცემული ცოდნის შეფასების კრიტერიუმები მოიცავდა სხვადასხვა პუნქტებს, მათ შორის: სალექციო, პრაქტიკულ და ლაბორატორიულ მეცადინეობებზე დასწრება 20 ქულა, პრაქტიკის სრული დღეების ოდენობა 30 ქულა, რაც თავისთავად ვერ იქნებოდა ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების ფლობის დონის განმსაზღვრელი კრიტერიუმი;

ექთნის თანაშემწის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა: სასწავლო გეგმით ვერ დგინდებოდა პროგრამის თანმიმდევრულობა ვინაიდან სასწავლო გეგმა მოიცავდა სასწავლო კურსების ჩამონათვალს და მოცულობას (კრედიტებში და შესაბამისი საათების რაოდენობა), ხოლო რომელი კურსი რა თანმიმდევრობით ისწავლებოდა სასწავლო გეგმიდან არ ჩანდა. ასევე კურსების სილაბუსებით არ იყო განსაზღვრული სწავლების პერიოდულობა, მითითებული იყო კურსის სწავლების წელი და კურსის შინაარსში გაწერილი იყო სასწავლო კურსების რაოდენობა, რომელთა შესაბამისობა საგანმანათლებლო პროგრამის თანმხლებ კვირეულ ცხრილთან ვერ დადგინდა. მაგ: კურსის სილაბუსში ,,ადამიანის ანატომია ფიზიოლოგიითა და პატფიზიოლოგიით" მოცემული იყო ინფორმაცია რომ სწავლება მიმდინარეობდა I-II სასწავლო წელი, კურსის მოცულობა იყო 3 კრედიტი (75 სთ.მათგან 10-დამოუკიდებელი მუშაობის, 40 ლექცია-აუდიტორულის, 17 პრაქტიკულ-ლაბორატორიულის, 8 შუალედური/დასკვნითი გამოცდის). ამავე სილაბუსში ეწერა, რომ სწავლება მიმდინარეობდა 38 კვირა, მათგან 25-ე კვირას იყო შუალედური გამოცდა, 38 კვირას -დასკვნითი/განმეორებითი გამოცდა. ე.ი. ლექცია/პრაქტიკუმი მიმდინარეობდა 36 კვირა. ყოველკვირეულ ცხრილში აღნიშნული კურსი გაწერილი იყო კვირაში სამჯერ 1სთ-იანი დატვირთვით. შესაბამისად 108 სთ. სასწავლო კურსის საერთო მოცულობა კი სილაბუსით იყო 75 სთ, ასევე გაურკვეველი იყო რა პრინციპით მიმდინარეობდა სწავლება I-II სასწავლო წელს. აღნიშნული უზუსტობები და შეუსაბამობები ფიქსირდებოდა პროგრამის თითქმის ყველა სილაბუსში;

ბუღალტრის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა: პროგრამაში მისანიჭებელ კვალიფიკაციად მითითებული იყო ბუღალტერ-მოანგარიშე, სტანდარტის მიხედვით კი მისანიჭებელი კვალიფიკაცია იყო ბუღალტრის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია/ბუღალტერ-მოანაგარიშე. სასწავლო გეგმით გაწერილი იყო სასწავლო კურსების სწავლება 2 სემესტრის განმავლობაში. მაგ: ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები იკითხებოდა 2 სემესტრი 6 კრედიტის მოცულობით, თითოეულ სემესტრში

მოცულობა იყო 3-3 კრედიტი, თუმცა სილაბუსი შედგენილი იყო 6 კრედიტზე. ანუ ორივე სემესტრში ერთი სილაბუსით იყო განსაზღვრული საგნის მიზანი და მისი სწავლის შედეგები, თემატიკა და სხვ.

პროგრამით I სემესტრი მოიცავდა 18 კვირას, ხოლო II სემესტრი 20 კვირას. სასწავლო კურსების შინაარსში თემატიკა გაწერილი იყო ზოგი 90 კვირაზე (ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები), ზოგი 32 კვირაზე (ეკონომიკის საფუძვლები), ზოგი 22-ზე (კომპიუტერული საოფისე პროგრამები) და ა.შ.

სასწავლო კურსების სილაბურებში სტუდენტის შეფასების სქემა იყო ერთგვაროვანი. ჯგუფში მუშაობა 20 ქულა, დასწრება - აქტივობა 20 ქულა, შუალედური გამოცდა 20 ქულა, ხოლო დასკვნითი გამოცდა 40 ქულა. დასკვნითი გამოცდა ტარდებოდა ტესტირების ფორმით (ტესტი შედგებოდა 15 კითხვისაგან, თითოეული 4 სავარაუდო პასუხით, სწორი პასუხი ფასდებოდა 2 ქულით), აღნიშნულის მიხედვით დასკვნითი გამოცდის ქულა გამოდიოდა 30 და არა 40. აღნიშნული სახის შეფასება იყო სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის სილაბუსებშიც.

1.2 დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგები არ შეესაბამებოდა პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს და კონკრეტული პროფესიული სტანდარტებით განსაზღვრულ კვალიფიკაციათა აღმწერს, კერძოდ: ბუღალტრის მესამე საფეხურის პროფესიული პროგრამა: სწავლის შედეგები იყო არასრულყოფილი და არ შეესაბამებოდა არც ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს პროფესიული განათლების მესამე საფეხურის აღმწერს და არც ბუღალტრის სტანდარტს. სწავლის შედეგები წარმოდგენილი იყო მხოლოდ ორი კომპეტენციით: ცოდნა და გაცნობიერება და ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი. თუმცა აღსანიშნავი იყო, რომ სილაბურებში ფიქსირდებოდა მხოლოდ თითო კომპეტენცია, ძირითადად - ცოდნა და გაცნობიერება.

ექთნის თანაშემწის მესამე საფეხურის პროფესიულ საგანამანთლებლო პროგრამაში წარმოდგენილი იყო ექვსივე კომპეტენცია, თუმცა დარგობრივი სწავლის შედეგების ფორმულირებით არ იყო სრულად შესაბამისი ექთნის თანაშემწის მესამე საფეხურის კვალიფიკაციის აღმწერის (090551-მაგ: არ მოიცავდა პალიატიური მზრუნველობის არსის შესწავლას და ა.შ). ასევე კონკრეტული სილაბუსების სწავლის შედეგები ვერ უზრუნველყოფდნენ ექთნის თანაშემწის სტანდარტით განსაზღვრული შედეგების მიღწევადობას.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების რუქა და კონკრეტული სილაბუსებით განსაზღვრული სწავლის შედეგები ძირითადად შეუსაბამობაში იყო ერთმანეთთან მაგ: ,,ანატომია ფიზიოლოგიით და პათოლოგიით", ,,მიკრობიოლოგია და ეპიდემიოლოგია" სწავლის შედეგებში მოცემული იყო ორი კომპეტენცია, რომელთაგან ნაწილი არ იყო გაწერილი, ხოლო პროგრამის თანმხლებ კომპეტენციათა რუქაში შესაბამისად აღნიშნული იყო ორი (მაგრამ სულ სხვა) -5 კომპეტენცია.

1.3 დაწესებულებას შემუშავებული ჰქონდა საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები, რომლითაც განსაზღვრული იყო თუ რა ვალდებულებებს იღებდა დაწესებულება. კერძოდ: ხელს უწყობდა სხვა საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტის ან სხვა პროფესიულ დაწესებულებაში მობილობას. ვიზიტის მომენტში დაწესებულებას არ ჰქონდა გაფორმებული შესაბამისი მემორანდუმი, რომელიც სხვა პროფესიულ სასწავლებლთან და ,,საგანმანათლებლო პროგრამების შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმების" მე-11 პუნქტით იყო განსაზღვრული, რომ ,,პროფესიული პროგრამის შეცვლის ან/და გაუქმების

შემთხვევაში კოლეჯი მსგავსი სახის პროგრამების განმახორციელებელ სასწავლო დაწესებულებასთან დებდა შეთანხმებას პროგრამების ურთიერთთავსებადობის დადგენის, აგრეთვე ურთიერთშორის სტუდენტთა მობილობის გამარტივებული წესის შესახებ".

1.4 პროფესიული პროგრამების განხორციელების გაუმჯობესებისა და სრულყოფისათვის დაწესებულებას შემუშავებული ჰქონდა ,,პროფესიული პროგრამის განხორციელების შეფასების წესი". წესით განსაზღვრული იყო, რომ პროცესის ადმინისტრირებას აწარმოებდა ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი, შესაბამისი კითხვარების შემუშავების, დაინტერესებული მხარეების გამოკითხვის ანალიზისა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავების საფუძველზე, თუმცა ვიზიტის მომენტში შესაბამისი სავარაუდო კითხვარები ვერ იქნა წარმოდგენილი.

2. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

2.1 კოლეჯში არ იყო ადაპტირებული სველი წერტილი.

2.2 კოლეჯის ვებ-გვერდზე განთავსებული იყო საკონტაქტო ინფორმაცია, სტრუქტურა, შინაგანაწესი, მთავარი დებულება, პროგრამები (გარკვეული ხარვეზებით). ინფორმაციის განახლება ხდებოდა არარეგულარულად.

3. ადამიანურ რესურსთან მიმართებით:

3.1 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები ზოგადად ხორციელდებოდა შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ, თუმცა სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის განმახორციელებელი პირების კვალიფიკაცია ვერ უზრუნველყოფდა პროფესიული პროგრამით და/ან შესაბამისი სტანდარტით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას შესაბამისი პრაქტიკული გამოცდილების უქონლობის გამო.

ექსპერტმა განაცხადა, რომ ვიზიტის მიმდინარეობისას დაწესებულების დირექტორს ჯგუფმა გააცნო დაფიქსირებული ხარვეზები, რომელთა ნაწილიც ჩასწორებულ იქნა, თუმცა სრული შენიშვნების აღმოფხვრა შეუძლებელი იყო მცირე დროის მანძილზე.

თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ კოლეჯი გახლდათ ახალი, მათ პირველად სცადეს და შემოიტანეს განაცხადი ავტორიზაციაზე, აღნიშნულიდან გამომდინარე დაწესებულებამ ბევრი იმუშავა პროგრამების განვითარებაზე, ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციებიც სრულიად მისაღები იყო მათთვის და შესაძლებლობის ფარგლებში ბევრი რამ იქნა გასწორებული პროგრამებთან და სილაბუსებთან მიმართებით.

თავმჯდომარემ განაცხადა, რომ კარგი იყო თუ დაწესებულება იღებდა შენიშვნებს და ესმოდა მათი გამოსწორების აუცილებლობა.

საბჭოს წევრმა მამია ჯანჯალია განაცხადა, რომ საბჭო გახლდათ გულდაწყვეტილი არსებული სიტუაციის გამო, მათ უნდა გაევლოთ კონსულტაციები, ეთანამშრომლათ დამსაქმებლებთან და უფრო მეტი უნდა ემუშავათ პროგრამული ნაწილის სრულყოფილად წარმოდგენისათვის.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს წნორის პროფესიული კოლეჯი ,,ორიონის" ავტორიზაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 0
წინააღმდეგი - 5

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის, მე-14 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტისა და 26-ე მუხლის შესაბამისად შპს წნორის პროფესიულ კოლეჯ ორიონს (ს/კ: 440390890) უარი ეთქვას ავტორიზაციაზე.

დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ 17:00 საათზე სხდომა დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე
ქეთევან ჯაყელი

მდივანი
მაია ჩიხლაძე